ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №942221

ნომერი: AR1159534

თარიღი : 26.09.2013

გაცემის თარიღი : 17.10.2013

გაცნობის თარიღი : 19.10.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , მიკრო/რაიონი I , ცენტრალური გზის მიმდებარედ , უბანი II , (ნაკვეთი N8) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თემურ კვირცხალია პ/ნ 01001009860
- თბილისი გლდანის დას. მამკოდის ქ. N 9

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 25.04.2013 წ. #659754 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 04 სექტემბერს #AR1159534 განცხადებით მომართა მოქ. თემურ კვირცხალიამ და მოითხოვა 25.04.2013 წ. #659754 ბრძანების ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლებში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 25.04.2013 წ. #659754 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, I მ/რ-ში, ცენტრალური გზის მიმდებარედ, II უბანში (ნაკვეთი №8), კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.10.06.014.026), მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

პროექტის შეთანხმების სტადიაზე განმცხადებლის მიერ არასწორად იქნა მითითებული ტექნიკურ ეკონომიური მაჩვენებლები, რაც შესაბამისად, აისახა სამსახურის 25.04.2013 წ. #659754 ბრძანებაში. კერძოდ, საერთო ფართობი 5397.5 კვ.მ–ის ნაცვლად დაფიქსირდა 5288.4 კვ.მ.; საცხოვრებელი ფართობი 3930.20 კვ.მ–ის ნაცვლად 3849.1 კვ.მ.; საზაფხულო ფართობი 628.10 კვ.მ–ის ნაცვლად 600.1 კვ.მ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს. შესაბამისად, ვინაიდან ცხადია, რომ ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში შემავალი ცალკეული ფართობები არასწორად იქნა მითითებული, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია გაასწოროს ისინი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 25.04.2013 წ. #659754 ბრძანებაში, კერძოდ: საერთო ფართობად დაფიქსირდეს 5397.5 კვ.მ.; საცხოვრებელ ფართობად 3930.20 კვ.მ.; საზაფხულო ფართობად 628.10 კვ.მ.;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 25.04.2013 წ. #659754 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.